გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საგარეჯოს, გურჯაანის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდა ფერმერებისთვის სანერგე მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის თაობაზე

„სანერგე მეურნეობა ახალგაზრდა ფერმერისათვის „ ინიციატივა ხორციელდება კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის მიერ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტის - სოფლის მეურნეობის, მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მდგრადობის შესახებ (AMMAR) ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის ("GEF") მიერ.

პროექტი ახორციელებს ქარსაფარი ზოლების გაშენებას კახეთის რეგიონში, საგარეჯოს, გურჯაანის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში. ასევე **ხელი შეუწყოს ახალგაზრდა ფერმერებს მოაწყონ ორი მცირე ზომის სანერგე მეურნეობა საგარეჯოს, გურჯაანის და/ან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე.**

კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს, გურჯაანის და დედოფლისწყაროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები, პროექტში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ახალგაზრდა ფერმერებს, რომლებსაც აქვთ სურვილი მოაწყონ სანერგე მეურნეობა, შეუძლიათ გამოყონ მიწის ფართობი დაახლოებით 50-100 m^2 და აქვთ სოფლის მეურნეობაში გარკვეული ცოდნა/გამოცდილება.

დამატებით კითხვებზე პასუხისათვის და განაცხადების ჩასაბარებლად, გთხოვთ მიმართოთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურს. გურჯაანის მუნიციპალიტეტში ბატონ ივანე ბასილაშვილი (ტელ: 598 18 04 34; ელფოსტა ivane.basilashvili@mepa.gov.ge ოფისი სურსათის ეროვნული სააგენტოს შენობაში II სართული), საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ბატონ ნიკოლოზ ჯავახიშვილს (ტელ: 599 20 67 00 ელ-ფოსტა nikoloz.javakhishvili@mepa.gov.ge ქ. საგარეჯო, აღმაშენებლის 15), დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ბატონ გიორგი ბენაშვილს (ტელ: 599 40 21 10; ელ-ფოსტა: dedoplistskaro.icc@gmail.com ოფისი დედოფლისწყაროს გამგეობის შენობაში II სართული) ან პროექტის კოორდინატორს ქალბატონ ქეთი წერეთელს (ტელეფონი 577569656. ელ-ფოსტა kety.tsereteli@rec-caucasus.org).

განაცხადების მიღების ვადა განისაზღვრება აღნიშნული ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 10 დღით.

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

პროექტში მონაწილეობით დაინტერესებული ფერმერებისთვის

მიზანი

პროექტი „სანერგე მეურნეობა ახალგაზრდა ფერმერისათვის„ მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ახალგაზრდა ფერმერებს მოაწყონ ორი მცირე ზომის სანერგე მეურნეობა საგარეჯოს, გურჯაანის ან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე.

ახალგაზრდა ფერმერების მიერ მართული მცირე სანერგე მეურნეობა ითვალისწინებს მერქნიანი მცენარეების ისეთი ჯიშების გამოყვანას (მაგ:ელდარის ფიჭვი- Pinus eldarica, კვიპაროსი-Cupressus, ალვის ხე Populus pyramidalis, იფანი-ჯოპიტი (Fraxinus), რომლებიც აქტიურად იქნება გამოყენებული

ქარსაფარი ზოლების გასაშენებლად, არა მარტო საგარეჯოს, გურჯაანის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში, არამედ, სამომავლოდ, სხვა მუნიციპალიტეტებშიც.

ვალდებულებები

პროექტი დაინტერესებულ ახალგაზრდა ფერმერებს მოამარაგებს სათესლე მასალით, კონტეინერებით, ქოთნებით, შესაბამისი სასუქებით, პერლიტით, ტორფით და სხვა საჭირო მასალით და ასევე დაეხმარება შესაბამისი ცოდნით. პროექტი უნდა განხორციელდეს სპეციალური ინსტრუქციის შესაბამისად, რომელსაც ფერმერები მიიღებენ პროექტის ჯგუფიდან. მათ შესაბამისი დახმარება გაეწევათ, როგორც წარმოების პროცესში (მინიმუმ 1 წლის განმავლობაში), ასევე რეალიზაციის პროცესში.

პროექტი დაეხმარება დაინტერესებულ ფერმერებს სათბურის მოწყობაში. ფერმერმა განაცხადის შევსებისას უნდა მიუთითოს თანამონაწილეობის საშუალება (ფინანსური, მატერიალური, შრომითი რესურსის სახით).

განაცხადის შერჩევის კრიტერიუმები:

ფერმერები შერჩეული იქნებიან შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1) განცხადების შემომტანი უნდა იყოს 18-დან 35 წლამდე მამაკაცი ან 40 წლამდე ქალბატონი.

2) ფერმერის მიერ შეთავაზებული ნაკვეთი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:
- ნაკვეთი უნდა იყოს მოსწორებულ ადგილას დაახლოებით 50-100 $მ^2$ ფართობის;
- ნაკვეთთან უნდა იყოს მიყვანილი წყალი ირიგაციისთვის;
- ნაკვეთთან ხელმისაწდომი უნდა იყოს ელექტროგაყვანილობა;

3) მზაობა თანამონაწილეობისთვის.

ფერმერების შერჩევა

დაინტერესებულ ფერმერებს საშუალება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ შესარჩევ პროცესში განაცხადების წარმოდგენის გზით.

ფერმერების შერჩევა მოხდება სრულად შევსებული განაცხადების საფუძველზე შერჩევის ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების გათვალისწინებით - საცდელი პროექტის საკოორდინაციო ჯგუფის მიერ.

განაცხადის ფორმა

განაცხადი შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ხელნაწერი სახით შემდეგი ფორმის გათვალისწინებით:

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი მე ---------- ---------- (სახელი და გვარი) მსურს მოვაწყო სანერგე მეურნეობა დაბადების წელი _____ პირადი ნომერი - _____ საცხოვრებელი მისამართი - _____ სანერგე მეურნეებისთვის გამიზნული ნაკვეთის ფართობი - _____ მ^2. სასოფლოს სამეურნეო ნაკვეთის ადგილმდებარეობა _____ (მუნიციპალიტეტი, სოფელი) ნაკვეთის საკადასტრო კოდი –––––––––––––––––––––– სათბურის მოწყობაში ფერმერის თანამონაწილეობის წილი მაგ., სარწყავ სისტემის მოწყობა, კონტეინერები _ დიახ არა გავეცანი კავკასიის გარემოსდაცვითი რეგიონული ცენტრის პროექტის პირობებს და თანახმა ვარ მონაწილეობა მივიღო აღნიშნული პროექტის განხორციელებაში. სახელი და გვარი: _/_____/ ხელმოწერა: _____ საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: _____ თარიღი: _____